თამარ ორჯონიკიძე •

საქართველოს ეროვნული საბჭო (1917-1919) და დემოკრატიული არჩევნების საკანონმდებლო უზრუნველყოფა ••

აბსტრაქტი

საქართველოს ეროვნული ყრილობა 1917 წლის ნოემბერში მოიწვიეს. ის შედგებოდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მუშათა საბჭოების, ქალაქების თვითმმართველობების, ეროვნულ უმცირესობათა და სხვათა არჩეული წარმომადგენლებისაგან. ეროვნულმა ყრილობამ ამავე წლის 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო, რომელიც თავდაპირველად შედგებოდა საქართველოს ძირითადი პარტიების წარმომადგენლებისაგან, საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც. აღმასრულებელ კომიტეტს კი ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანია 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტის მიღება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მოამზადა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და დაამტკიცა არჩევნების დებულება.

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

•• კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-23-2950

კვლევის მიზანია შევისწავლოთ ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული დამფუძნებელი კრების საარჩევო დებულების ის პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავს საარჩევნო უფლებას და შევადაროთ ისინი თანამედროვე საქართველოში მოქმედ საარჩევნო დებულების შესაბამის პუნქტებს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს - საქართველოს პარლამენტს (1917-1919) განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ეროვნულმა საბჭომ მოამზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ამავე დროს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ორგანოდ და საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიული საპარლამენტო ცხოვრების, დემოკრატიული კანონმდებლობის შემუშავების ტრადიციას.

ეროვნულმა საბჭომ დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება 1918 წლის 22 ნოემბერს დაამტკიცა. დებულების თანახმად დამფუძნებელი კრება შედგებოდა 130 წევრისაგან და აირჩეოდა მცხოვრებთა მიერ განურჩევლად სქესისა - თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობამ 1919 წელს საკანონმდებლო ორგანო-დამფუძნებელი კრება აირჩია. არჩევნები 14 თებერვალს დაიწყო და 17 თებერვლამდე გასტანა. 13 მაზრისა და 17 ქალაქის მოსახლეობამ არჩევანი 15 პარტიას შორის გააკეთა. შედეგების მთავარი დამთვლელი ორგანოები იყო საქალაქო და სამაზრო საარჩევნო კომისიები. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად არჩევნების ჩატარება იგეგმებოდა 1919 წლის გვიან გაზაფხულზე, თუმცა შემდგომ თარიღი შეიცვალა[1] და დადგინა

[1] დოკუმენტს ხელი მოაწერა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ.

1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალი[2]. რესპუბლიკაში წინასაარჩევო კამპანია 1918 წლის დეკემბერში დაიწყო და 1919 წლის თებერვლამდე მიმდინარეობდა. დამფუძნებელი კრების არჩევნები საქართველოში საუკუნის წინ ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ასი წლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობა შეიცვალა და გარკვეულწილად გამარტივდა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგი საარჩევნო შეზღუდვები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში მოქმედებდა, თანამედროვე პერიოდში აქტუალური ვერ იქნება (კატორღა, გადასახლება...); თუმცა ორივე პერიოდის კანონმდებლობა ყურადღებას აქცევს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მოქალაქეებს და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად ანიჭებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. დაიწია საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ასაკმა (20-დან 18-მდე); შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ყრუ-მუნჯი მოქალაქეები) მონაწილეობა არჩევნებში თანამედროვე ეტაპზე დასაშვებია და ისინი მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსხვავებით დემოკრატიული რესპუბლიკისაგან; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა მონაწილეობა არჩევნებში კი კვლავ შეზღუდულია.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; საქართველოს ეროვნული საბჭო; საქართველოს დამფუძნებელი კრება; საარჩევნო დებულება.

[2] 1919 წელს პარიზში მუშაობას იწყებდა სამშვიდობო კონფერენცია და წარგზავნილ დელეგატებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ ხალხის მიერ არჩეული მანდატი.

შესავალი

ეროვნული საბჭო - საქართველოს პარლამენტი ეტაპობრივად ყალიბდებოდა და სახეს იცვლიდა:

ა) იცვლებოდა მისი შემადგენლობა - არჩევის შემდეგ (66 წევრი) მის შემადგენლობაში შევიდნენ ამიერკავკასიის სეიმის წევრები საქართველოდან, ასევე საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

ბ) იცვლებოდა მისი საქმიანობის ხასიათი - თავიდან ეროვნულ საბჭო აღმასრულებელ-საკანონმდებლო ორგანო იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი გახდა საკანონმდებლო-მაკონტროლებელი ორგანო. 1918 წლის 8 ოქტომბერს ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეროვნული საბჭოს შესახებ მხოლოდ გაკვრით იწერებოდა და ისიც კრიტიკულად, ემიგრაციაში კი მისი საქმიანობის შესწავლა შეუძლებელი იყო - სათანადო მასალები საქართველოში, - საბჭოთა არქივებში იყო ჩაკეტილი. პოსტ-საბჭოთა პერიოდში შეიქმნა რიგი ნაშრომები საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობის შესახებ, თუმცა რჩება მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შემდგომ მეცნიერულ ანალიზს საჭიროებს. როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნული საბჭოს საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღება და აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების მომზადების და საარჩევნო დებულების დამტკიცება იყო.

საარჩევნო უფლება ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს დამტკიცებული საარჩევნო დებულების მიხედვით

საარჩევნო უფლება ქონდა:

1) არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 20 წელი[3].

2) თითოეულ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოც იმას აქვს, ვინც ამ უბნის საარჩევნო სიაშია შეტანილი.

3) არჩეული შეიძლება იყოს პირი, რომელიც არაა შეტანილი საარჩევნო სიაში, მაგრამ საარჩევნო უფლების პირობას აკმაყოფილებს.

საარჩევნო უფლება არ ქონდა:

1) არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ვინც კანონის წესით გიჟად ან ჭკუაზე შეშლილადაა გამოცხადებული; ასევე ყრუმუნჯი მოქალაქეები, რომლებიც სხვისი მზუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

2) პირს, რომელსაც სასამართლომ დაუდგინა სასჯელი:

• კატორღამისჯილს, როდესაც სასჯელის გასვლიდან არ გასულა ათი წელი

• ვისაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსაღო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსაღო ან ციხე მდგომარეობის უფლების ჩამორთმევით ან შეზღუდვით, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლის გასვლამდე.

• დასჯილს ქურდობისთვის (არსებობს გამონაკლისები), დატყუებისთვის, ჩაბარებული ქონების მითვისების ან გაფლანგვისათვის (არსებობს გამონაკლისები), მოპარულის დამალვისათვის, განზრახ მოპარულის ყიდვის ან გირაოდ მიღებისათვის. ასევე მევახშეობის, ქრთამის აღების ან მიცემის, სიძვის შუამავლობის და

[3] რეგულარულ ჯარში ჩარიცხულს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება (საქართველოს მოქალაქის შესაძლებლობა, არჩეულ იქნას რომელიმე არჩევით თანამდებობაზე).

გარყვნილების ხელშემწყობთათვის. ასევე ისეთი მოქმედებისათვის, რომლის მიზანი იყო საკანონმდებლო დაწესებულებათა ან თვითმმართველობათა ორგანოს არჩევნების თავისუფლების და სისწორის დარღვევა - სასჯელის მოხდის დღიდან სამი წლის გასვლამდე.

• შეუძლებელ მოვალეს, რომელიც ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით ბოროტგანზრახულ შეუძლებლად იქნება გამოცხადებული - გამოცხადების დღიდან სამი წლის გასვლამდე.

• იმ სამხედრო პირებს, რომლებიც გამოიქცნენ სამხედრო სამსახურიდან.

3) საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებს ასევე საარჩევნო სიაში შეტანილი პირი, რომელიც დაკარგავს საარჩევნო უფლებას (მუხლი 1; 2); ასევე ის, ვინც საარჩევნო დღისთვის აღმოჩნდება თავისუფლებააღკვეთილი სასამართლოს მიერ უკვე ძალაში შესული განაჩენით ან იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ პასუხისგებაში არის მიცემული, როგორც ბრალდებული რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის და მის წინააღმდეგ სიფრთხილის ზომად გამოყენებულია დატუსაღება.

4)

საარჩევნო უფლება თანამედროვე საქართველოში

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საარჩევნო კოდექსში სხვადასხვა ცვლილებაა შესული საარჩევნო უფლებების მიმართულებით.

საარჩევნო ხმის უფლება აქვს:

საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს.

ხმის მიცემის უფლება არ აქვს:

• არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია პენიტენციურ დაწე-

სებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელისაც ჩადენილი აქვს ნაკ-ლებად მძიმე დანაშაული[4].

• აგრეთვე მხარდამჭერის მიმღებს, თუ იგი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსე-ბულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში[5].

დასკვნა

დამფუძნებელი კრების არჩევნები საქართველოში საუკუნის წინ ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ასი წლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობა შეიცვალა და გარკვე-ულწილად გამარტივდა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგი საარჩევნო შეზღუდვები, რომლებიც XX საუკუნის მეორე ათ-წლეულის საქართველოში მოქმედებდა, თანამედროვე პერიოდში აქტუალური ვერ იქნება (კატორღა, გადასახლება...); თუმცა ორივე პერიოდის კანონმდებლობა ყურადღებას აქცევს პენიტენციურ და-წესებულებაში მოთავსებულ მოქალაქეებს და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად ანიჭებს არჩევნებში მონაწილე-ობის უფლებას. დაიწია საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ასაკმა (20-დან 18-მდე); შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ყრუ-მუნჯი მოქალაქეები) მონაწილეობა არჩევნებში თანა-მედროვე ეტაპზე დასაშვებია და ისინი მონაწილეობენ ქვეყნის პო-ლიტიკურ ცხოვრებაში განსხვავებით დემოკრატიული რესპუბლი-

[4] ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანა-შაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

[5] მხარდაჭერის მიმღები - პირი, რომელიც სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნო მხარდაჭერის მიმღებად. (პაციენტს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინ-ტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებას-თან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში).

კისაგან; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა მონაწილეობა არჩევნებში კი კვლავ შეზღუდულია.

გამოყენებული ლიტერატურა

- მაცაბერიძე, მ. ჯანელიძე, ო. იაკობაშვილი, ი. სურგულაძე, პ. ორჯონიკიძე, თ. და ზედგინიძე, ნ. (2022). *საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება.* თბილისი.
- დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება (1918). საქართველოს ეროვნული საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.
- http://archives.gov.ge/ge/page/saqartvelos-pirveli-respublikis-damfudznebeli-krebis-archevnebis-danishvnis-kanoni
- https://issuu.com/archivesgeorgia/docs/statia_saitistvis1/1?ff&e=11474611/8247945
- http://cesko.ge/geo/static/1569/khmis-ufleba
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=197
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/24178
- http://cesko.ge/res/docs/20180817121712%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf

Tamar ordjonikidze

National Council of Georgia (1917-1919) and Legislative Regulations for Democratic Elections[6]

Abstract

The National Congress of Georgia was convened in November 1917. It consisted of elected representatives of Georgian political parties, workers' councils, city self-governments, national minorities and others. On November 22 of the same year, the National Congress elected the National Council, which initially included representatives of the main parties of Georgia; the Council also included representatives of national minorities. The executive committee was chaired by Noe Jordania. The most important event in the activities of the National Council of Georgia is the adoption of the Act of Independence of the country on May 26, 1918. It is noteworthy that the National Council of Georgia prepared the elections to the Constituent Assembly of Georgia and approved the election regulations.

The purpose of the research is to study the articles of the electoral law of the Constituent Assembly that define the electoral law approved by the National Council, and compare them with the corresponding articles of the electoral law in force in modern Georgia.

The National Council of Georgia - the Parliament of Georgia (1917-1919) occupies a special place in the modern history of Georgia. The National Council prepared the restoration of state independence of Georgia, at the same time, after the restoration of state independence, it was established as a legislative body and laid the foundation for the tradition of democratic parliamentary life, the development of democratic legislation.

[6] The research was carried out within the framework of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia Grant Project "The Beginning of the Contemporary Georgian Parliamentarianism: The National Council of Georgia-The Parliament of Georgia". Grant Code: FR-23-2950

The National Council approved the regulations on the elections of the Constituent Assembly on November 22, 1918. According to the regulations the Constituent Assembly consisted of 130 members, it was elected by residents regardless of gender - by equal, direct and secret ballot according to the rule of proportional representation.

In 1919, the population of the Democratic Republic of Georgia elected a legislative body - a Constituent Assembly. The elections began on February 14 and lasted until February 17. The population of 13 uezds and 17 cities made a choice between 15 parties. The main bodies for calculating the results were the city and uezd election commissions. It should be noted that the elections were originally planned to be held in the late spring of 1919, but later the date was changed[7] and set to February 14, 15 and 16, 1919[8].

The election campaign in the republic began in December 1918 and lasted until February 1919.

Elections to the Constituent Assembly took place in Georgia a hundred years ago. It is noteworthy that a hundred years later, the electoral legislation in independent Georgia was changed and somewhat simplified, although it should also be taken into account that a number of electoral restrictions that were in force at the beginning of the 20th century cannot be relevant in the modern period (katorga, exile...); However, the legislation of both periods pays attention to citizens placed in penitentiary institutions and grants them the right to participate in elections depending on the severity of the crime they committed. The age of citizens eligible to vote has been reduced (from 20 to 18 years); at present the participation of disabled people (deaf and dumb citizens) in elections is allowed and they participate in the political life of the

[7] The document was signed by the comrade of the chairman of the Parliament of Georgia, Ekvtime Takaishvili and the chairman of the government of the Republic of Georgia - Noe Jordania.

[8] In 1919, the peace conference was starting in Paris, and the delegates sent had to have a mandate elected by the people.

country, in contrast to a democratic republic; the participation of people with mental disorders in elections is still limited.